სსიპ-კოლეჯი ,,მერმისი“

2020 წლის ანგარიში

განხორციელებული საქმიანობის ანგარიში კოლეჯის განვითარებასთან, სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან, აპლიკანტთა ჩარიცხვასთან, კურსდამთავრებულთა დასაქმებასთან, პროფესიული განათლების მასწავლებლების პროფესიულ განვითარებასთან, კერძო სექტორთან თანამშრომლობასთან და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით

ახალი პროგრამების დამატება

მიუხედავად ქვეყანაში კორონავირუსის გამო შექმნილი ვითარებისა, კოლეჯი ,,მერმისი“ მუდმივად ზრუნავს განვითარებაზე და სწავლის მსურველ პირებს სთავაზობს ყველა იმ სიახლეს, რაც საქართველოს პროფესიული განათლების სისტემაში ინერგება. ამის ნათელი მაგალითია, რომ კოლეჯმა გადადგა კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი - ზოგადსაგანმანათლებლო კომპონენტის შეტანა კოლეჯში ,,მერმისი“.

აღნიშნული ხელს შეუწყობს „საგანმანათლებლო ჩიხის“ დაძლევას და საშუალებას მისცემს საბაზო საფეხურის განათლების მქონე პირს კოლეჯში სწავლის შემთხვევაში პროფესიის დაუფლებისას, სწავლის დასრულების შემდეგ მიიღოს სკოლის ატესტატთან გათანაბრებული პროფესიული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომი, რაც შესაძლებლობას მისცემს პროფესიული კოლეჯის კურსდამთავრებულს, სურვილის შემთხვევაში სწავლა უმაღლეს სასწავლებელში გააგრძელოს.

2020 წელს კოლეჯს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 21 მაისის NMES 72000398402 გადაწყვეტილების საფუძველზე ,,მერმისს“ მიენიჭა უფლება განახორციელოს საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ვებტექნოლოგიები“, ასევე 2020 წლის 01 აგვისტოს NMES 2200000653227 გადაწყვეტილების საფუძველზე მიენიჭა უფლება დამატებით განახორციელოს „სასტუმრო მომსახურების“ საგანმანათლებლო პროგრამა, რომლებშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.

ავტორიზაციისათვის მზადების პერიოდში განხორციელებული იქნა შემდეგი აქტივობები:

- ✓ პროგრამების შესაბამისად განახლდა/შეივსო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.
- ✓ დამატებით გაფორმებული იქნა კომპანიებთან 15 ახალი მემორანდუმი/ხელშეკრულება ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.
- ✓ გაფორმდა შრომითი ხელშეკრულება, როგორც მოქმედ, ასევე კერძო სექტორიდან მოწვეულ 42 პროფესიული განათლების მასწავლებელთან.
- ✓ კანონმდებლობის შესაბამისად შემუშავდა და შეტანილი იქნა ცვლილებები შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებში.

ასევე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კოლეჯის განვითარების კუთხით განხორციელებული იქნა შემდეგი აქტივობები:

- ✓ შემუშავებულ იქნა კოლეჯის 7 წლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა;

- ✓ კოლეჯის ნორმატიულ დოკუმენტებში შეტანილ იქნა ცვლილებები და ასევე დამტკიცდა ახალი წესები ავტორიზაციის ახალი სტანდარტების შესაბამისად (სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი, პროფესიული ორიენტაციის და კარიერის მხარდაჭერის წესი და სხვ.);
- ✓ სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით განხორციელდა გამოკითხვები და მეცადინეობეზე დასწრება, საჭიროების შემთხვევაში გაიცა რეკომენდაციები;
- ✓ ორჯერ განახლებულ იქნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი;
- ✓ შევსებულ იქნა 2020 წლის თვითშეფასების კითხვარი;
- ✓ COVID-19 პანდემიის ეპიდემიის გამო კოლეჯში მიმდინარე ყველა პროგრამა (სადაც ეს შესაძლებელი იყო) გადაყვანილ იქნა დისტანციური სწავლების რეჟიმზე;
- ✓ მონაწილეობა იქნა მიღებული „საოფისე საქმის“ და „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროგრამის შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესში;
- ✓ შესრულდა სამუშაოები კოლეჯის სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს ორგანიზებით, „პროფესიული განათლების ეროვნული ჯილდო 2019-ის“ გალა დაჯილდოება 2020 წელს მესამედ გაიმართა. კატეგორიაში წლის პროფესიული განათლების სტუდენტი გამარჯვებული გახდა კოლეჯის „მერმისი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კულინარიის ხელოვნების“ კურსდამთავრებული ხატია ნადარეიშვილი.

აპლიკანტთა ჩარიცხვა

კოლეჯში სწავლის მსურველ პირთა გაზრდილ რაოდენობას მოწმობს ის ფაქტიც, რომ ყველა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღება ხორციელდება კონკურსის წესით.

ასევე აღსანიშნავია სწავლის მსურველთა მხრიდან ინტეგრირებული მიდგმით პროფესიის დაუფლების დიდი მოთხოვნა. 2020 წლის მიღებაზე ინტეგრირებულ პროგრამაზე ,,ვებტექნოლოგიები“ 20 ვაკანტურ ადგილზე დარეგისტრირდა 112 სწავლის მსურველი პირი.

2020 წელს ორგანიზებულ პროფესიულ ტესტირებაზე 14 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის 351 ვაკანტურ ადგილზე დარეგისტრირდა 1156 სწავლის მსურველი პირი, 23 ჯგუფში ჩაირიცხა 300 პროფესიული სტუდენტი, მათ შორის: 31 სსსმ სტუდენტი, ხოლო რუსულ და სომხურ ენაზე ტესტირების გზით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვა 6 სტუდენტმა და მათ სწავლა დაიწყეს ქართული ენის მოდულით.

სტატისტიკა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

N	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	გამოცხადებული ადგილების რაოდენობა	რეგისტრირებული აპლიკანტები	ჩარიცხული სტუდენტი	მათ შორის სსსმ სტუდენტი	შენიშვნა
1.	მომინანქრება	19	57	19		
2.	ელექტროობა	20	72	20		
3.	ძრავას შეკეთება	20	54	20		2 არაქართულ ენოვანი
4.	სამკერვალო წარმოება	40	97	35	3	1 არაქართულ ენოვანი
5.	ფეხსაცმლისა და ტყავის ნაკეთობათა წარმოება	14	28	6	2	
6.	თმის მომსახურება	20	100	20	4	
7.	კულინარიის ხელოვნება	74	342	76	14	2 არაქართულ ენოვანი
8.	ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდამჭერი	20	78	20	2	
9.	ვებტექნოლოგიები (ინტეგრირებული)	20	112	20	1	1 არაქართულ ენოვანი
10.	სასტუმრო მომსახურება	20	27	8	1	
11.	სასტუმრო მომსახურება (ინტეგრირებული)	20	27	16		
12.	საოფისე საქმე	40	101	27		
13.	თექის დამზადება	12	30	5	2	
14.	მხატვრული ქსოვა	12	31	8	2	
	სულ ჯამი	351	1156	300	31	

სასწავლო პროცესის მიმდინარეობა

COVID-19 პანდემიის ეპიდემიოლოგიური სიტაციიდან გამომდინარე, კოლეჯმა გაითვალისწინა ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაცია პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხო სასწავლო გარემოს შესაქმნელად.

შრომის სამართლისა და შრომის უსაფრთხოების ექსპერტმა პროფესიულ სტუდენტებს გააცნო ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციების შესაბამისად შენობაში დაშვებისა და ქცევის წესები, ინდივიდუალური დაცვის საშუალებების სახეები, მათი დანიშნულება და მათი სწორად გამოყენების თავისებურებები, COVID-19-ის ნიშნებისა და/ან სიმპტომების აღმოჩენის შემთხვევაში გასატარებელი ღონისძიებები.

საქართველოში კორონავირუსის გამო შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, პრიორიტეტულ საკითხად იქცა დისტანციური სწავლების დანერგვა და პილოტირება.

მიიღო გამოწვევა ,,მერმისმა“ და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის წარმართვა განხორციელდა დისტანციურ რეჟიმში, ასევე პროფესიული მომზადების პროგრამის ,,ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება“ - 2 ჯგუფში.

სასწავლო პროცესის დისტანციურ რეჟიმში წარმართვა ხორციელდება Microsoft Teams-ის ელექტრონული პლათფორმის გამოყენებით, ხოლო პროფესიული სტუდენტების მიერ მოდულებში სწავლის შედეგების დადასტურება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 11 სექტემბრის N820672 ბრძანების საფუძველზე სსიპ კოლეჯში ,,მერმისი“ შესაბამისი მოთხოვნებისა და რეკომენდაციების დაცვით.

2020 წლის განმავლობაში სსიპ კოლეჯი „მერმისი“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლობდა 901 პროფესიული სტუდენტი. მათ შორის 67 სსსმ სტუდენტი და 6 არაქართულ ენოვანი სტუდენტი. საანგარიშო პერიოდში სწავლა დაასრულა 85 სტუდენტმა (დამთავრებულთა რაოდენობაზე იმოქმედა კორონავირუსის (COVID-19) პანდემიამ), სტატუსი შეიჩერა 26 სტუდენტმა, ხოლო სტატუსი შეიწყვიტა 114 სტუდენტმა (13%).

<u>პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამები</u>

ზრდასრულთა განათლების ხელშეწყობისათვის, რომლის მიზანია ზრდასრული მოსახლეობის უნარების განახლება, კომპეტენციების განვითარება მოკლევადიანი პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამების შეთავაზებით, სსიპ კოლეჯის ,,მერმისი” მიერ 2020 წელს დაიწყო მომზადება/გადამზადების პროგრამების განხორციელება.

2020 წლის საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, კოლეჯმა დაიწყო სწავლება 5 პროფესიულ მომზადების პროგრამაზე: ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება, ძრავის კვების სისტემის დიაგნოსტირება და სერვისი, კედლის და იატაკის მოპირკეთება ფილებით, ქართული სამზარეულოს ძირითადი კერძების მომზადება, ელექტრული მონტაჟი და 1 პროფესიულ გადამზადების პროგრამაზე - ელექტრო უსაფრთხოება და ელექტრო ტექნიკის საფუძვლები. აღნიშნული პროგრამები პანდემიიდან გამომდინარე, ვერ დასრულდა.

ზემოაღნიშნულ პროგრამებზე კონკურსის წესით შერჩეული და ჩარიცხული იქნა სწავლის მსურველი პირები, მათ შორის ა(ა)იპ „დემოკრატიის განვითარების სააგენტო“-ს „დასაქმების სახელმწიფო სერვისების საპილოტე მოდელი ქ. თბილისის N17 სამაჟორიტარო ოლქისთვის“ პროექტის 40 ბენეფიციარი ა(ა)იპ ,,დემოკრატიული განვითარების სააგენტოს“

დაკვეთით, ორი პროგრამის („ქართული სამზარეულოს ძირითადი კერძების მომზადება“, „ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება”) ფარგლებში და სს „ენერგო - პრო ჯორჯიასთან“ თანამშრომლობით შემუშავებული პროფესიული გადამზადების პროგრამის „ელექტრო უსაფრთხოება და ელექტრო ტექნიკის საფუძვლები“ ფარგლებში „ენერგო - პრო ჯორჯიას“ 15 თანამშრომელი.

სტატისტიკა პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების მიხედვით

N	პროგრამის დასახელება	მიღების ტიპი	გამოცხადებული ადგილების რაოდენობა	რეგისტრირებული აპლიკანტები	ჩარიცხული მსმენელები
1.	ელექტრული მონტაჟი	ღია	15	29	15
2.	ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება	დახურული	30	30	27
3.	ქართული სამზარეულოს ძირითადი კერძების მომზადება	დახურული	15	15	13
		ღია	15	78	15
4.	ძრავის კვების სისტემის დიაგნოსტირება და სერვისი	ღია	15	20	11
5.	კედლისა და იატაკის მოპირკეთება ფილებით	ღია	15	45	15
6.	ელექტრო უსაფრთხოება და ელექტრო ტექნიკის საფუძვლები	დახურული	15	26	15
	სულ ჯამი		120	243	111

განხორციელებული პროექტები

ადგილობრივი მოსახლეობის მომზადება/გადამზადებისა და შემდგომი დასაქმების მიზნით სსიპ-კოლეჯი ,,მერმისი“ 2017 წლიდან აქტიურად თანამშრომლობს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მხარდაჭერით დაფინანსებული პროექტის ,,პროფესიული განათლება - დასაქმებისაკენ მიმავალი უმოკლესი გზა“ განხორციელების მიზანს წარმოადგენს თბილისში უმუშევრობის დონის შემცირება, პროფესიული სწავლებით სამუშაოს მაძიებელთა კონკურენტუნარიანობის ამაღლება და დასაქმების ხელშეწყობა. ასევე, საწარმოების მოთხოვნილებების ნაწილობრივ დაკმაყოფილება.

ზემოაღნიშნული პროექტის ფარგლებში, 2020 წლის საანგარიშო პერიოდის განმავლობაში 9 მოკლევადიან პროგრამაზე 220 ვაკანტურ ადგილზე დარეგისტრირდა 451 ბენეფიციარი, 16 ჯგუფში ჩაირიცხა 220 მსმენელი. სწავლა დაასრულა ,,სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის“ 2 ჯგუფმა - 30 მსმენელი, ხოლო დანარჩენი პროგრამები პანდემიიდან გამომდინარე, ვერ დასრულდა.

2020 წელს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურთან გაფორმებული იქნა ხელშეკრულება პროექტის ,,პანდემიით დაზარალებული მოქალაქეების დასაქმების ხელშეწყობა“ ფარგლებში, რომელიც ითვალიწინებს Covid-19 პანდემიის პირობებში დაზარალებულ, თბილისში რეგისტრირებულ მოქალაქეებს, რომლებმაც ქვეყანაში შექმნილი პანდემიის გამო, დაკარგეს სამსახური ან/და შემოსავლის წყარო, პროფესიული უნარების განვითარების გზით, სოციალური ინტეგრაციისა და დასაქმების ხელშეწყობას.

ზემოაღნიშნული პროექტის ფარგლებში, 2020 წლის საანგარიშო პერიოდის განმავლობაში 10 პროგრამაზე 185 ვაკანტურ ადგილზე დარეგისტრირდა 625 ბენეფიციარი, 14 ჯგუფში ჩაირიცხა 185 მსმენელი. აღნიშნული პროგრამების განხორციელება პანდემიიდან გამომდინარე, არ დაწყებულა.

სტატისტიკა მოკლევადიანი პროგრამების მიხედვით

N	მოკლევადიანი პროგრამის დასახელება	**პროექტი ,,პროფესიული განათლება - დასაქმებისაკენ მიმავალი უმოკლესი გზა“**				**პროექტი ,,პანდემიით დაზარალებული მოქალაქეების დასაქმების ხელშეწყობა“**		
		მისაღები რაოდენობა	რეგისტრირებულთა რაოდენობა	ჩარიცხული მსმენელები	დაამთავრა	მისაღები რაოდენობა	რეგისტრირებულთა რაოდენობა	ჩარიცხული მსმენელები
1	ელექტრიკოსი	30	44	30		15	40	15
2	მზარეული	30	143	30		30	140	30
3	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი	30	46	30	30	30	118	30

4	სტილისტი (ქალი)	30	42	30				
5	ტყავის აქსესუარების კერვა	15	44	15		15	61	15
6	ფილამწყობი	30	30	30		15	33	15
7	ქალის ზედა ტანსაცმლის კონსტრუირება	20	40	20		20	78	20
8	ძრავის კვების სისტემის დიაგნოსტიკა და სერვისი	15	29	15		15	39	15
9	კომპიუტერული გრაფიკული პროგრამების საშუალებით რიცხვით პროგრამული დანადგარების მართვა (CNC, ლაზერული ჭრის დანადგარი)	20	33	20		20	46	20
10	პურფუნთუშეულის დამზადება					15	48	15
11	ხეზე მხატვრული კვეთა (ხელით)					10	23	10
სულ		220	451	220	30	185	625	185

რეფორმის ინიციატივებში მონაწილეობა

სსიპ -კოლეჯმა ,,მერმისი“ მონაწილეობა მიიღო სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრსა და გაეროს განვითარების პროგრამის ნაწილში ახალ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად მხარდაჭერის კომპონენტში.

აღნიშნული აქტივობის ფარგლებში შესწავლილ იქნა კოლეჯის მიერ განხორციელებული თვითშეფასების ანგარიში და მომზადებული იქნა დასკვნა.

საანგარიშო წლის განმავლობაში, კოლეჯი აქტიურად ჩაერთო საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს განათლების ევროპული ფონდის (ETF) და ევროპული კომისიის გაერთიანებული კვლევების ცენტრის (JRC) ინიციატივით ზოგადი და პროფესიული განათლების საფეხურებზე ახალი პროექტის - SELFIE პილოტირებაში. SELFIE ეს არის ელექტრონული თვით-შეფასების კითხვარი, რომლის მიზანიც არის შეაფასოს ინოვაციური საგანმანათლებლო ტექნოლოგიების გამოყენების ეფექტურობა სწავლა-სწავლების პროცესში.

ზემოაღნიშნულ პროექტში მონაწილე სსიპ-კოლეჯის ,,მერმისი“ დირექტორს, დუალურ სწავლებაში ჩართულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს, პროფესიულ სტუდენტებს და კომპანიის წარმომადგენლებს გადაეცათ სერტიფიკატები.

პროფესიული განათლების მასწავლებელთა პროფესიულ განვითრებასთან დაკავშირებით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ

სსიპ კოლეჯი ,,მერმისი“ მუდმივად ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე, გამომდინარე იქიდან, რომ ადამიანური რესურსების მართვა ორგანიზაციის განვითარების მნიშვნელოვანი ნაწილია.

კოლეჯში პროფესიული განათლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარება ხორციელდება სხვადასხვა განმავითარებელი ღონისძიებების მეშვეობით. დაწესებულება მუდმივად ზრუნავს მასწავლებელთა განვითარების აქტივობებში ჩართვით, რაც ხელს უწყობს მათ კარიერულ ზრდას.

კოლეჯში 2020 წლის საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დასაქმებული იყო 97 პროფესიული განათლების მასწავლებლი.

კოლეჯის დირექტორის ინიციატივით მასწავლებლებმა გაიარეს სხვადასხვა ტრენინგი:

- ✓ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ორგანიზებული ტრენინგი - ,,ინტეგრირებული ზოგადი მოდულების მასწავლებლების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება“ – 14 მასწავლებელი;
- ✓ „კულინარიის ხელოვნების“, „კონდიტერისა“ და „სასურსათო პროდუქტების ეკოლოგიური კონტროლის სპეციალისტი“ სპეციალობის პროფესიულმა მასწავლებლებმა კვალიფიკაციის ამაღლებისა და სიახლეების გაცნობის მიზნით გაიარეს ტრენინგი და მასტერკლასი სურსათის უვნებლობაში.
- ✓ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის (TPDC) მიერ ორგანიზებული ტრენინგი - ,,პროფესიულ მასწავლებელთა სამეწარმეო კომპეტენციების განვითარება” – 8 მასწავლებელი;
- ✓ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ERASMUS+ პროგრამის პროექტი ECOMODE - ,,ეკო-ინოვაციური ბიზნეს მოდელის განვითარების სტუმართმასპინძლობაში მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“ – 3 მასწავლებელი;
- ✓ გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) მიერ ორგანიზებული ტრენინგი - ,,რისკებისა და უსაფრთხოების მართვა სტუმართმასპინძლობის სფეროში პროფესიული კოლეჯების პედაგოგებისათვის“ – 4 მასწავლებელი.
- ✓ შპს ,,ეიჩ-არ-ეს“-თან თანამშრომლობით კოლეჯის 3 პროფესიული განათლების მასწავლებელს ჩაუტარდა ტრენინგი სასტუმრო მართვის პროგრამა "ოპერი"-ს შესწავლაში. დისტანციურ სწავლიების რეჟიმზე გადასვლასთან დაკავშირებით, კოლეჯის ,,მერმისი“ დირექციამ შპს ,,ნექსია თიეი"-სთან ორგანიზებით 75 პროფესიული განათლების მასწავლებლებს ჩაუტარა ტრენინგი Microsoft Teams პლათფორმის შესწავლაში. ასევე შემდგომში დამატებით განხორციელდა 24 მასწავლებლის დატრენინგება აღნიშნულ პლათფორმაში მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის (TPDC) მიერ.

2020 წლის სამოქმედო გეგმის შეუსრულებელი აქტივობების ანალიზი

2020 წელს სამოქმედო გეგმის მიხედვით დაგეგმილი აქტივობებიდან ახალი კორონავირუსის COVID 19 პანდემიით გამოწვეული ობიექტური მიზეზების გამო ვერ მოხერხდა შემდეგი სამუშაოების ჩატარება:

- ✓ კოლეჯში 2020 წლის მარტიდან 5 თვით შეწყდა სასწავლო პროცესი, რომელიც შემდგომ განახლდა დისტანციური სწავლების რეჟიმში (თეორიული ნაწილის), რამაც გაზარდა სტატუსშეჩერებული და სტატუსშეწყვეტილი სტუდენტების რაოდენობა;
- ✓ სავაჭრო ობიექტების მიერ მუშაობის შეწყვეტის გამო შეფერხდა შესყიდვების ნაწილი;
- ✓ ჩატარებული მოსამზადებელის სამუშაოების მიუხედავად ვერ დაიწყო სწავლება მოკლევადიანი პროფესიული მომზადების პროგრამების ნაწილზე და სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განმავითარებელ კურსებზე, ვერ დასრულდა სწავლება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სასერტიფიკატო კურსებზე;
- ✓ ვერ ჩატარდა შიდა კონკურსი ორი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში;
- ✓ სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა რაოდენობის გაზრდა;
- ✓ ნაწილობრივ შესრულდა სსსმ და შშმ პირთა მხარდაჭერის მიზნით დაუნის სინდრომის, აუტიზმის საერთაშორისო დღის და სსსმ და შშმ პირთა უფლებების დაცვის დღეების აღნიშვნა.

კერძო სექტორთან თანამშრომლობა

2020 წლის მანძილზე კოლეჯისთვის განსაკუთრებით აქტუალური იყო პარტნიორობა კერძო სექტორთან. მსოფლიოში არსებული დასაქმების პრობლემის კვალდაკვალ, კერძო სექტორთან აქტიური თანამშრომლობა კოლეჯის კურსდამთავრებულებს აძლევს რეალურ შანსს შეძლონ სამუშაოზე დაფუძნებული პრაქტიკის გავლა და პრაქტიკის წარმატებით დასრულების შემთხვევაში დასაქმდნენ საკუთარი პროფესიით. სწორედ აღნიშნულმა აქტიურმა თანამშრომლობამ გამოკვეთა შრომის ბაზარზე ახალი კადრების არსებობის საჭიროება და ამ მოთხოვნიდან გამომდინარე კოლეჯმა დაიმატა მოთხოვნადი „სასტუმროს მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

მიუხედავად ქვეყანაში არსებული რთული ეპიდემიოლოგიური სიტუაციისა, კოლეჯის მიერ 2020 წელს პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მიმართულებით ტრადიციულად მიმდინარეობდა აქტიური საინფორმაციო კამპანია სტუდენტების მოზიდვის მიზნით და ასევე, კომუნიკაცია პარტნიორ ორგანიზაციებთან კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშესაწყობად. გაფორმდა თანამშრომლობის არაერთი მემორანდუმი და მოხდა კურსდამთავრებულების დასაქმების ხელშეწყობა. არსებული გამოწვევების პირობებში კოლეჯმა წარმატებით შეძლო მაქსიმალურად გაევრცელებინა ინფორმაცია კოლეჯის სხვადასხვა პროგრამის შესახებ და მოეზიდა ახალი პარტნიორები.

კოლეჯის პროგრამებიდან გამომდინარე, 2020 წლის მანძილზე გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სხვადასხვა კომპანიასთან; სს სასტუმრო ''შერატონ ბათუმი'', შპს ''გლობალფუუდ'', შპს ''პრემიერ მოტორსი'', შპს ''დოქტორს გუდსი'', შპს ,,დაბი ჯგუფი" სასტუმროს ,,ბილთმორ თბილისი", შპს ,,ელექსირი-ს (სასტუმრო ,,ძველი მეიდანი"), შპს ,,არტ-გალერეა მეგზური"-ს (სასტუმრო ,,ძველი უბანი"), შპს ,,სალი" (სასტუმრო ,,ძველი თბილისი"), შპს ,,ძველი ქალაქი" (შემდგომში ,,ზეგ"), სს ,,გუდვილი", სტუმარმასპინძლობის საერთაშორისო ინსტიტუტი (IIFH) და სხვა.

თანამშრომლობა ადგილობრივ დონეზე - 2020 წელსაც კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობდა ადგილობრივი თვითმმართველობის ყველა რგოლთან, მუნიციპალურ და საქალაქო სამსახურებთან, საჯარო სკოლების ადმინისტრაციებთან. შედეგად შესაძლებელი გახდა მეტი სტუდენტის ინფორმირება და მათი დაინტერესება კოლეჯის პროგრამებით.

თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან - საანგარიშო წლის განმავლობაში კოლეჯი აქტიურად მონაწილეობდა საერთაშორისო პარტნიორების მიერ ორგანიზებულ ონლაინ შეხვედრებსა და დისკუსიებში. მათგან აღსანიშნავია შეხვედრები: „ევროკავშირის პროექტის ტექნიკური მხარდაჭერა შრომის ბაზრის საჭიროებებსა და დასაქმებაზე მორგებული ცოდნა-უნარების განვითარებისათვის ფარგლებში“; USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის ფარგლებში გამართული შეხვედრა PMCG-ის წარმომადგენლებთან.

საინფორმაციო/საკონსულტაციო შეხვედრები

2020 წლის მანძილზე გლობალური პანდემიის გამო კოლეჯი დადგა ისეთი გამოწვევების წინაშე, როგორიცაა: კოლეჯის სივრცეში ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრების რაოდენობის კლება; სკოლებთან კომუნიკაციის ნაკლები ინტენსივობა; სხვადასხვა ღონისძიებაში ფიზიკურად მონაწილეობის პრობლემა; ახალ პარტნიორებთან კომუნიკაციის ნაკლები შესაძლებლობა.

კოლეჯმა არსებულ გამოწვევებს წარმატებით გაართვა თავი და აქტიურად დანერგა თანამედროვე ტექნოლოგიები ყოველდღიურ საქმიანობაში. კოლეჯის ტერიტორიაზე საინფორმაციო შეხვედრები ჩანაცვლდა ონლაინ შეხვედრებით, რამაც საკმაოდ დიდი დაინტერესება გამოიწვია. კოლეჯის ვირტუალურმა ტურმა საშუალება მისცა დაინტერესებულ პირებს დისტანციურად დაეთვალიერებინათ მათთვის საინტერესო ადგილები. სკოლებსა და სხვა პარტნიორებთან კომუნიკაციამაც შეიძინა დისტანციური ხასიათი და ხორციელდებოდა სატელეფონო კომუნიკაციის ან ისეთი ონლაინ პლატფორმების გამოყენებით, როგორიცაა მაგ: Microsoft Teams; სწავლის პროცესის ონლაინ რეჟიმში წარმართვამ ზოგიერთი პრაქტიკული დავალების ონლაინ შესრულების დანერგვის შესაძლებლობაც მოგვცა.

გარდა საინფორმაციო შეხვედრებისა, კოლეჯის ვებგვერდისა და სოციალური ქსელების საშუალებითაც აპლიკანტები ეცნობოდნენ სიახლეებს, ეძლეოდათ შესაძლებლობა დაესვათ მათთვის საინტერესო კითხვები და მიეღოთ ამომწურავი პასუხები. 2020 წლის მიღებასთან დაკავშირებით, კოლეჯის პოპულაზიციის მიზნით რეგულარულად ტარდებოდა სარეკლამო ღონისძიებები, ვებგვერდის საშუალებით ხორციელდებოდა კოლეჯის პედაგოგების ონლაინ ჩართვები კონკრეტული სპეციალობების შესახებ.

საწარმოო პრაქტიკების დაწყებამდე კოლეჯის სტუდენტებს ჩაუტარდათ სემინარები დასაქმების უნარ-ჩვევების შესახებ.

რეგულარულად ტარდებოდა კურსდამთავრებულთა სატელეფონო გამოკითხვები, რომელიც მიზნად ისახავდა დასაქმების მაჩვენებლის გამოკვლევას პროფესიული პროგრამების მიხედვით. შედეგად განახლდა „დამსაქმებელთა მონაცემთა ბაზა“ სპეციალობების მიხედვით; კოლეჯის სამომავლო ეფექტური ოპერირების მიზნით შემუშავდა კურდამთავრებულთა კმაყოფილების კითხვარი, ასევე დამსაქმებლების კითხვარი და მოხდა მათი შევსება გამოკითხვების შედეგად შეგროვილი ინფორმაციით.

საგანგებო ვითარების მიუხედავად დასაქმების წლიური მაჩვენებელი კვლავაც მაღალია. 2020 წლის მანძილზე კურსდამთავრებულთა 93% დასაქმებულია.

ხარისხის უზრუნველყოფა

პროფესიული განათლების მასწავლებელთა და სტუდენტთა კვალიფიკაციისა და სწავლების ხარისხის ამაღლების, აგრეთვე, ევროპული გამოცდილების გაზიარების მიზნით, კოლეჯში „მერმისი“ სისტემატიურად ხორციელდება სხვადასხვა სპეციალობის ექსპერტების ვიზიტი.

2020 წლის დასაწყისში კოლეჯში სამი კვირის განმავლობაში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების მიმართულების გერმანელი (SES) ექსპერტი სინიორ იორგ ტრაბერტი.

ვიზიტის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ფეხსაცმლისა და ტყავის სფეროში სწავლების გაუმჯობესება, ორმაგი პროფესიული სწავლების სისტემის დანერგვაში დახმარება. ექსპერტმა კოლეჯის „ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალობის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლებაში ჩართულ პედაგოგებსა და პროფესიულ სტუდენტებს გააცნო ევროპული სწავლების მეთოდები. ყურადღება გაამახვილა ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ახალი სასწავლო მეთოდები, აღნიშნულ პროფესიაში დუალური პროფესიული განათლების დანერგვა და განვითარების გზები.

სტუდენტური სერვისები

სსიპ კოლეჯი „მერმისი" იცავს პროფესიულ სტუდენტთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, უქმნის მათ უსაფრთხო გარემოს, მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს და სხვადასხვა სახის მხარდაჭერის სერვისებს ხარისხიანი განათლების მისაღებად.

2020 წლის 30 ოქტომბერს გაფორმდა ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს ტურიზმის ასოციაციასა და სსიპ კოლეჯს ,,მერმისი" შორის, რომლის მიზანია საქართველოს მდგრადი ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა საგანმანათლებლო ტურიზმის კვალიფიციური განათლების ხელშეწყობით.

2020 წლის 26 ოქტომბერს გაფორმდა ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი ააიპ ,,ინსტიტუციური და შესაძლებლობების განვითარების ცენტრსა" და სსიპ კოლეჯს ,,მერმისი" შორის, რომლის მიზანია კოლეჯის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისათვის პროექტში ,,სტაჟირების და სამუშაო ადგილზე სწავლის შესაძლებლობების ხელშეწყობა სტუდენტებისათვის" მონაწილეობის მიღების მზაობა, სტაჟირების გზით მათი დარგობრივი კომპეტენციების განმტკიცება და სამუშაოსთვის საჭირო პრაქტიკული უნარების განვითარების ხელშეწყობა.

სსიპ - კოლეჯი „მერმისი" სტუდენტთა მოტივაციის ამაღლების მიზნით სხვადასხვა წახალისების ფორმებს იყენებს. კოლეჯის წარდგინებით:

ა) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ელექტროობის" სპეციალობის მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტებს სს „ენერგო - პრო ჯორჯია"-საგან დაენიშნათ ყოველთვიური სტიპენდია 200 ლარის ოდენობით.

ბ) „ფეხსაცმლისა და ტყავის ნაკეთობათა წარმოების" სპეციალობის სტუდენტებს (8 სტუდენტი) გადაეცათ სერთიფიკატები SES-ის ექსპერტის, იორგ ტრაბერტის მიერ ჩატარებული ფეხსაცმლისა დამზადების მიმართულებით მასტერ-კლასში მონაწილეობისათვის.

ღონისძიებები:

პროფესიული განათლების პოპულარიზაციის მიზნით, სსიპ კოლეჯმა „მერმისი" მონაწილეობა მიიღო:

1. გამოფენების ცენტრში ექსპოჯორჯია, განათლების მე-10 საერთაშორისო გამოფენაზე, სადაც ყველა დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა ჰქონდა მიეღო

ამომწურავი ინფორმაცია კოლეჯის მიერ განხორციელებულ საგანმანათლებლო პროგრამებსა და დასაქმების შესაძლებლობების შესახებ.

2. 2020 წლის 24 იანვარს სსიპ კოლეჯის „მერმისი" სტუმრად იმყოფებოდნენ მაინცის იოჰანეს გუტენბერგის უნივერსიტეტის პროფესორი, დოქტორ მარკუს ბიონერი და GIZ-ის წარმომადგენლები. დაგეგმილი ვიზიტის ფარგლებში, სტუმრებმა მიიღეს ამომწურავი ინფორმაცია პროფესიული განათლების სისტემაში მიმდინარე სიახლეების შესახებ კოლეჯის „მერმისი" მაგალითზე. კოლეჯის დირექტორსა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ერთად იმსჯელეს განათლების ხარისხის გაუმჯობესების გზებსა და სამომავლო გეგმებზე. სტუმრებმა დაათვალიერეს კოლეჯის ინფარსტუქტურა და გაეცნენ სასწავლო პროცესს.
3. 2020 წლის 6 მარტს სსიპ კოლეჯმა ,,მერმისი" უმასპინძლა საერთაშორისო სემინარის ,,WE Can Do lt" 11 ქვეყნის 27 წარმომადგენელს (საფრანგეთი, გერმანია, ესპანეთი, პოლონეთი, რუმინეთი, მოლდოვა, ბულგარეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა, ბელორუსია, რუსეთი). აღნიშნული სემინარი წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ინკლუზიის შესახებ გრძელვადიანი პროექტის ერთ- ერთი შემადგენელ ნაწილს. ვიზიტის დროს სემინარის მონაწილეებს მიეწოდოთ ინფორმაცია ზოგადად პროფესიული განათლებაში მიმდინარე სიახლეების შესახებ კოლეჯის ,,მერმისი" მაგალითზე, აგრეთვე ინკლუზიური პროფესიული განათლების თაობაზე. გაეცნენ კოლეჯში განხორციელებულ პროგრამებს და დაათვალიერეს სასწავლო სახელოსნოები.
4. 2020 წლის 5 აგვისტოს პროფესიულ კოლეჯში ,,მერმისი" პროფესიული განათლების მიღების მსურველთათვის ღია კარის დღე გაიმართა. კოლეჯის წარმომადგენლებმა დაინტერესებულ პირებს მიაწოდეს ინფორმაცია კოლეჯის პროფესიული პროგრამების შესახებ, ასევე ისაუბრეს რეგისტრაციის პროცესზე, ტესტირებასა და შემდგომი დასაქმების შესაძლებლობებზე. ღონისძიებას საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე თამარ ქიტიაშვილი დაესწრო.